დინამოელთა გამარჯვება

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, როგორც ცნობილია, ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად იმყოფებიან დანიაში. 5 აგვისტოს მათ პირველი მატჩი ჰქონდათ კოპენჰაგენში, სადაც დინამოელთა მოწინააღმდეგე იყო ადგილობრივი „ბოლდკლუბენი“. ის გუნდი, რომელიც სულ ახლახან იმყოფებოდა თბილისში და მონაწილეობდა ე.წ. „სამთა ტურნირში“. მაშინ „დინამოსა“ და „ბოლდკლუბენის“ მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს თამაში: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, პეტრიაშვილი, კალოევი, დათუნაშვილი, მესხი. „ბოლდკლუბენი“ გაძლიერებული იყო დანიის ეროვნული ნაკრების მოთამაშეებით – მადსენითა და სერენსენით.

თბილისელებმა სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში და მე–19 წუთზე მესხმა გახსნა ანგარიში. შემდგომში მასპინძლებმა ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგეთა კარში და ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს – 2:1.

კარგი თამაში აჩვენეს დინამოელებმა მეორე ტაიმში. კალოევმა და მეტრეველმა გაიტანეს თითო ბურთი და თბილისის „დინამომ“ გამარჯვებულმა დატოვა მინდორი – 3:2.

დღეს ჩვენი გუნდი თამაშობს ქ. ვაილეში.

7 აგვისტო, 1963 წ.